

## დანართი 1.

შპს „ჯორჯია მეტალურგიული საწარმოს სატრანსპორტო

### ნაკადების ანალიზი

საწარმოს ექსპლუატაციაში შესვლის საწყის ეტაპზე, ტერიტორიაზე ტვირთების ტრანსპორტირება დაგეგმილია ავტომანქანებით. ტერიტორიაზე საავტომობილო გზა შემოდის თბილისი-სენაკი-ლესელიძის ავტომაგისტრალის დაუსახლებელი მონაკვეთიდან. ცენტრალური გზიდან საწარმომდე არ გაივლის დასახლებულ პუნქტს (ნახაზი 1.).

საწარმოს ტერიტორიაზე შესასვლელი განთავსებულია დასახლებული პუნქტის საპირისპირო მხარეს (500 მ-ზე მეტ მანძილზე), ამდენად საწარმოს ტვირთბრუნვა მოსახლეობისათვის იქნება შეუმჩნეველი (ნახაზი 2).

საწყოს ეტაპზე (ავტომანქანების საშუალო ტვირთამწეობის გათვალისწინებით), დღეში სატრანსპორტო ნაკადების რაოდენობა იქნება 40-მდე (800 ტ. ჯართი ან ნამზადი), სრული დატვირთვის პირობებში გადაზიდვების რაოდენობამ შეიძლება მიაღწიოს დღე-დამეში 67-ს (საათში 3).

წინასწარი გათვლებით, საწარმოს ექსპლუატაციაში შესვლიდან საპროექტო პარამეტრებამდე გასვლა მოხდება თანდათანობით. საწარმოს საპროექტო წარმადობის მიღწევის პარალელურად, ტვირთბრუნვის მომატებასა და გადაზიდვის არეალის გაფართოებასთან ერთად, მსხვილი და შორი გადაზიდვებისათვის გამოყენებული იქნება სარკინიგზო ტრანსპორტი. არსებული სარკინიგზო ჩიხით შესაძლებელია ერთდროულად 8-10 ვაგონის მიღება (მაქსიმალური წონით 2 000 ტ.).

ორივე სატრანსპორტო საშუალების გამოყენების პირობებში მოსალოდსნელი გადატვირთვების მაქსიმალური რაოდენობა დროში მოცემულია ცხრილში 1.

#### ცხრილი 1.

ტრანსპორტირების საშუალება	გადატვირთვის რაოდენობა			გადატვირთვის რაოდენობა საათში
	წელიწადში	თვეში	დღეში	
რკინიგზის გამოყენებით	150	12 დან 20-მდე	1 -მდე	1-მდე.
ავტოტრანსპორტით	10 000	840	28	1-დან 2-მდე.

## **ინფორმაცია საწარმომდე მისასვლელი გზების შესახებ**

საწარმოს ტერიტორია მოსახერხებელია საგზაო და სარკინიგზო გადაზიდვებისათვის, ტერიტორიიდან თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზა დაშორებულია 240 მ-ით. გზიდან საწარმომდე მისასვლელი გზა ასფალტის საფარიანია, მისი სიგრძე 250 მ-ია, არ გაივლის დასახლებულ პუნქტს.

საწარმოს ტერიტორიიდან E-60 ავტომაგისტრალის არგვეთის კვანძი დაშორებულია 540 მ-ით. კვანძიდან საწარმომდე მისასვლელი გზა შემოდის თბილისი-სენაკი ლესელიძის საავტომობილო გზის მონაკვეთით, სიგრძით 780 მ. საწარმომდე არ გაივლის დასახლებულ პუნქტს.

საწარმოს ტერიტორიიდან უახლოესი რკინიგზის სადგური - არგვეთა, დაშორებულია 650 მ-ით. სადგურიდან ტერიტორიამდე შემოდის სარკინიგზი ჩიხი, რომელიც განთავსებულია ტერიტორიის ჩრდილოეთით.

საწარმოში ტრანსპორტისათვის მოხერხებული და უსაფრთხო გადაადგილების მიზნით საწარმოო კორპუსის ირგვლივ დაგეგმილია მყარსაფარანი შიდასაქარხნო გზის მოწყობა.

ამდენად, საწარმოს მიმდებარედ არსებული და საპროექტი საგზაო ინფრასტრუქტურის (ე-60) გათვალისწინებით, ავტომაგისტრალის არგვეთის კვანძიდან საწარმომდე მისასვლელი გზისა და მოქმედი საკანონმდებლო რეგულაციების გათვალისწინებით, დაგეგმილი მარშრუტებით ტვირთების გადაზიდვაზე შეზღუდვები დაწესებული არ არის.

იმის გათვალისწინებით, რომ ავტომაგისტრალიდან საწარმომდე მისასვლელი გზა არ გადის დასახლებულ პუნქტზე, კომპანია არ გეგმავს ღამის საათებში გადაზიდვების შეზღუდვას.

საწარმომდე მისასვლელი და შიდასაქარხნო გზების სქემა მოცემულია ნახაზზე 1.

დანართი 2.

ს ა შ პ რ თ ვ ი ლ მ  
ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მარია  
G E O R G I A  
ZESTAFONI MUNICIPALITY CITY HALL

მუნიციპალიტეტის ნომერი: 22-2222137107  
თარიღი: 17/05/2022

აღნიშვნი: მას კონკრეტული  
სახელმწიფო სამქრალი: 410037239  
მისამართი: სამარგალო-შიდათავის მხარის ზესტაფონი

შ. ქ. ს. "ჯორჯია მეტალი"-ს  
დირექტორის ბატონ გორგა გვინდურაძეს  
ბაქონი გონია.

თქმავი განცხადების (რეგისტრაციის №10/2222102125-22), მაუხად კანონიერი, რომ შესტავების  
მენებალისტებს მერიას მუნიციპალიტეტ მოაჩინა. სამუნიციპალიტეტის მიმღებლის თბილის-სენაკი-  
ლესელის (რესერვის ფედერაციის საბლაკო) საკუთრივი განცენა შ. ქ. ს. "ჯორჯია მეტალი".  
უკიდურანსამირის გამოყენებით გაფარგლენოს ტერიტორია, წირმოდგრძელა დოკუმენტების  
შესაბამისად.

შეტყობინების დატვირთვის მიზანის მიხედვით.

კასიური გადატვირთვის  
ნებანური მუნიციპალიტეტის მერია-შენი


გადატვირთვის დატვირთვის  
მუნიციპალიტეტის სამსახურის  
მუნიციპალიტეტის შტაბში

გადატვირთვის დატვირთვის  
მუნიციპალიტეტის სამსახურის  
მუნიციპალიტეტის შტაბში

---

ზესტაფონი, ნერიათლის ქ. N11, თელ: (492) 252626, 252766  
INFO ZESTAFONI@ZESTAFONI.GOV.GE

ნახატი 1.



ნახატი 2.

